

# ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით  
დასრულებული წლისათვის

შპს თრეიდლაინ

---

# სარჩევი

|                                                             |    |
|-------------------------------------------------------------|----|
| 1. ფინანსური ანგარიშგება _____                              | 3  |
| მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება _____ | 3  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება _____                    | 4  |
| კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება _____                       | 5  |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება _____                          | 6  |
| განმარტებითი შენიშვნები _____                               | 7  |
| შესავალი _____                                              | 7  |
| 2. მომზადების საფუძვლები _____                              | 7  |
| 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა _____                     | 8  |
| 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებები და მსჯელობები _____   | 15 |
| 5. ამონაგები _____                                          | 17 |
| 6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები _____                  | 17 |
| 7. კურსთაშორისი სხვაობა _____                               | 17 |
| 8. სხვა შემოსავალი/ხარჯი _____                              | 17 |
| 9. ფული და ფულის ექვივალენტები _____                        | 17 |
| 10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები _____                        | 18 |
| 11. გრძელვადიანი აქტივები _____                             | 18 |
| 12. სავაჭრო და სხვა მოვლევადიანი ვალდებულებები _____        | 18 |
| 13. გაუნაწილებელი მოგება _____                              | 18 |
| 14. საანგარიშო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები _____     | 19 |

## 1. ფინანსური ანგარიშგება

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

|                                        | შენიშვნები | 2018             | 2017             |
|----------------------------------------|------------|------------------|------------------|
| ამონაგები                              | 5          | 27,037,459       | 20,423,621       |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება       |            | (22,021,953)     | (16,701,501)     |
| <b>საერთო მოგება</b>                   |            | <b>5,015,506</b> | <b>3,722,120</b> |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი        | 6          | (2,240,304)      | (1,895,742)      |
| საპროცენტო ხარჯი                       |            | (371,342)        | (304,520)        |
| მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან | 7          | (205,965)        | (409,690)        |
| სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა        | 8          | 515,679          | 533,250          |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>              |            | <b>2,713,573</b> | <b>1,645,418</b> |
| გადასახადის ხარჯი                      |            | -                | -                |
| <b>წლის მოგება</b>                     |            | <b>2,713,573</b> | <b>1,645,418</b> |
| სხვა სრული შემოსავალი                  |            | -                | -                |
| <b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>       |            | <b>2,713,573</b> | <b>1,645,418</b> |

ალექსანდრე სამხარაძე  
დირექტორი

ვახტანგი მამარდაშვილი  
ფინანსური დირექტორი

7 - 19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## 1. ფინანსური ანგარიშგება

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

|                                        | შენიშვნები | 2018             | 2017             |
|----------------------------------------|------------|------------------|------------------|
| ამონაგები                              | 5          | 27,037,459       | 20,423,621       |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება       |            | (22,021,953)     | (16,701,501)     |
| <b>საერთო მოგება</b>                   |            | <b>5,015,506</b> | <b>3,722,120</b> |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი        | 6          | (2,240,304)      | (1,895,742)      |
| საპროცენტო ხარჯი                       |            | (371,342)        | (304,520)        |
| მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან | 7          | (205,965)        | (409,690)        |
| სხვა შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა        | 8          | 515,679          | 533,250          |
| <b>მოგება დაბეგრამდე</b>               |            | <b>2,713,573</b> | <b>1,645,418</b> |
| გადასახადის ხარჯი                      |            | -                | -                |
| <b>წლის მოგება</b>                     |            | <b>2,713,573</b> | <b>1,645,418</b> |
| სხვა სრული შემოსავალი                  |            | -                | -                |
| <b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>       |            | <b>2,713,573</b> | <b>1,645,418</b> |

  
ალექსანდრე სამხარაძე  
დირექტორი

  
ვახტანგი მამარდაშვილი  
ფინანსური დირექტორი

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

|                                              | მუდ. | 31 დეკემბერი,<br>2018 | 31 დეკემბერი,<br>2017 | 1 იანვარი,<br>2017 |
|----------------------------------------------|------|-----------------------|-----------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                              |      |                       |                       |                    |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                 |      |                       |                       |                    |
| ძირითადი საშუალებები                         | 11   | 809,524               | 703,578               | 750,749            |
| არამატერიალური აქტივები                      | 11   | -                     | 815                   | 2,118              |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>             |      | <b>809,524</b>        | <b>704,393</b>        | <b>752,868</b>     |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                    |      |                       |                       |                    |
| მარაგები                                     |      | 749,298               | 707,440               | 328,510            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                   | 10   | 10,577,820            | 8,126,382             | 3,919,230          |
| გადახდილი ავანსები                           |      | 410,371               | 211,506               | 219,007            |
| საგადასახადო აქტივი                          |      | -                     | -                     | -                  |
| ფული და ფულის ექვივალენტები                  | 9    | 2,388,441             | 14,028                | 814,348            |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                |      | <b>14,125,930</b>     | <b>9,059,357</b>      | <b>5,281,095</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                          |      | <b>14,935,454</b>     | <b>9,763,750</b>      | <b>6,033,963</b>   |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>             |      |                       |                       |                    |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>               |      |                       |                       |                    |
| სავაჭრო და სხვა მოვლევადიანი ვალდებულებები   | 12   | 2,432,813             | 1,278,778             | 693,825            |
| მოვლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი |      | 4,646,224             | 3,516,217             | 2,089,212          |
| საგადასახადო ვალდებულება                     |      | 396,849               | 507,039               | 96,332             |
| <b>სულ მოვლევადიანი ვალდებულებები</b>        |      | <b>7,475,886</b>      | <b>5,302,033</b>      | <b>2,879,368</b>   |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>            |      |                       |                       |                    |
| გრძელვადიანი სესხები                         |      | 2,228,609             | 1,209,331             | 1,511,871          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>        |      | <b>2,228,609</b>      | <b>1,209,331</b>      | <b>1,511,871</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                     |      | <b>9,704,495</b>      | <b>6,511,364</b>      | <b>4,391,239</b>   |
| <b>კაპიტალი</b>                              |      |                       |                       |                    |
| საწესდებო კაპიტალი                           |      | 7,810                 | 7,810                 | 7,810              |
| გაუნაწილებელი მოგება                         | 13   | 5,223,149             | 3,244,575             | 1,634,914          |
| <b>სულ კაპიტალი</b>                          |      | <b>5,230,959</b>      | <b>3,252,385</b>      | <b>1,642,724</b>   |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>         |      | <b>14,935,454</b>     | <b>9,763,749</b>      | <b>6,033,963</b>   |

ალექსანდრე სამხარაძე  
დირექტორი

ვახტანგი მამარდაშვილი  
ფინანსური დირექტორი

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

|                                              | გვ. | 31 დეკემბერი,<br>2018 | 31 დეკემბერი,<br>2017 | 1 იანვარი,<br>2017 |
|----------------------------------------------|-----|-----------------------|-----------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                              |     |                       |                       |                    |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                 |     |                       |                       |                    |
| ძირითადი საშუალებები                         | 11  | 809,524               | 703,578               | 750,749            |
| არამატერიალური აქტივები                      | 11  | -                     | 815                   | 2,118              |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>             |     | <b>809,524</b>        | <b>704,393</b>        | <b>752,868</b>     |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                    |     |                       |                       |                    |
| მარაგები                                     |     | 749,298               | 707,440               | 328,510            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                   | 10  | 10,577,820            | 8,126,382             | 3,919,230          |
| გადახდილი ავანსები                           |     | 410,371               | 211,506               | 219,007            |
| საგადასახადო აქტივი                          |     | -                     | -                     | -                  |
| ფული და ფულის ექვივალენტები                  | 9   | 2,388,441             | 14,028                | 814,348            |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                |     | <b>14,125,930</b>     | <b>9,059,357</b>      | <b>5,281,095</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                          |     | <b>14,935,454</b>     | <b>9,763,750</b>      | <b>6,033,963</b>   |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>             |     |                       |                       |                    |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>               |     |                       |                       |                    |
| სავაჭრო და სხვა მოვლევადიანი ვალდებულებები   | 12  | 2,432,813             | 1,278,778             | 693,825            |
| მოვლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი |     | 4,646,224             | 3,516,217             | 2,089,212          |
| საგადასახადო ვალდებულება                     |     | 396,849               | 507,039               | 96,332             |
| <b>სულ მოვლევადიანი ვალდებულებები</b>        |     | <b>7,475,886</b>      | <b>5,302,033</b>      | <b>2,879,368</b>   |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>            |     |                       |                       |                    |
| გრძელვადიანი სესხები                         |     | 2,228,609             | 1,209,331             | 1,511,871          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>        |     | <b>2,228,609</b>      | <b>1,209,331</b>      | <b>1,511,871</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                     |     | <b>9,704,495</b>      | <b>6,511,364</b>      | <b>4,391,239</b>   |
| <b>კაპიტალი</b>                              |     |                       |                       |                    |
| საწესდებო კაპიტალი                           |     | 7,810                 | 7,810                 | 7,810              |
| გაუნაწილებელი მოგება                         | 13  | 5,223,149             | 3,244,575             | 1,634,914          |
| <b>სულ კაპიტალი</b>                          |     | <b>5,230,959</b>      | <b>3,252,385</b>      | <b>1,642,724</b>   |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>         |     | <b>14,935,454</b>     | <b>9,763,749</b>      | <b>6,033,963</b>   |

ალექსანდრე სამხარაძე  
დირექტორი

ვახტანგი მამარდაშვილი  
ფინანსური დირექტორი

## კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

|                        | შენ. | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ<br>კაპიტალი |
|------------------------|------|-----------------------|-------------------------|-----------------|
| 2017 წლის 1 იანვარი    | 13   | 7,810                 | 1,634,914               | 1,642,724       |
| წლის მოგება            |      |                       | 1,645,418               |                 |
| გადახდილი დივიდენდები  |      |                       | (35,757)                |                 |
| 2017 წლის 31 დეკემბერი | 13   | 7,810                 | 3,244,575               | 3,252,385       |
| წლის მოგება            |      |                       | 2,713,573               |                 |
| გადახდილი დივიდენდები  |      |                       | (734,999)               |                 |
| 2018 წლის 31 დეკემბერი | 13   | 7,810                 | 5,223,149               | 5,230,959       |

ალექსანდრე სამხარაძე  
დირექტორი

ვახტანგი მამარდაშვილი  
ფინანსური დირექტორი

7 - 19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თრეიდლაინ“  
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება


### კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის დასრულებული წლისთვის  
(*ქართულ ლარში*)

|                               | შენ.      | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ<br>კაპიტალი  |
|-------------------------------|-----------|-----------------------|-------------------------|------------------|
| <b>2017 წლის 1 იანვარი</b>    | <b>13</b> | <b>7,810</b>          | <b>1,634,914</b>        | <b>1,642,724</b> |
| წლის მოგება                   |           |                       | 1,645,418               |                  |
| გადახდილი დივიდენდები         |           |                       | (35,757)                |                  |
| <b>2017 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>13</b> | <b>7,810</b>          | <b>3,244,575</b>        | <b>3,252,385</b> |
| წლის მოგება                   |           |                       | 2,713,573               |                  |
| გადახდილი დივიდენდები         |           |                       | (734,999)               |                  |
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>13</b> | <b>7,810</b>          | <b>5,223,149</b>        | <b>5,230,959</b> |



ალექსანდრე სამხარაძე  
დირექტორი



ვახტანგი მამარდაშვილი  
ფინანსური დირექტორი

7 - 19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

|                                                  | 2018      | 2017        |
|--------------------------------------------------|-----------|-------------|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან  | 1,395,881 | (1,290,445) |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობაში | (22,024)  | (20,149)    |
| წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან   | 1,161,942 | 607,548     |
| წმინდა (შემცირება)/ზრდა                          | 2,535,800 | (703,045)   |
| ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში     | 14,028    | 814,348     |
| კურსთაშორისი სხვაობის გავლენა                    | (161,386) | (97,276)    |
| ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს          | 2,388,441 | 14,028      |

ალექსანდრე სამხარაძე  
დირექტორი


ვახტანგი მამარდაშვილი  
ფინანსური დირექტორი

7 - 19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


## ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

|                                                     | 2018             | 2017             |
|-----------------------------------------------------|------------------|------------------|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან     | 1,239,681        | (1,290,445)      |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობაში    | 134,176          | (20,149)         |
| წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან      | 1,161,942        | 607,548          |
| <b>წმინდა (შემცირება)/ზრდა</b>                      | <b>2,535,800</b> | <b>(703,045)</b> |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში</b> | <b>14,028</b>    | <b>814,348</b>   |
| კურსთაშორისი სხვაობის გავლენა                       | (161,386)        | (97,276)         |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს</b>      | <b>2,388,441</b> | <b>14,028</b>    |



ალექსანდრე სამხარაძე  
დირექტორი



ვახტანგი მამარდაშვილი  
ფინანსური დირექტორი

# განმარტებითი შენიშვნები

## შესავალი

- შპს „თრეიდლაინ“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 1996 წლის 30 აგვისტოს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით საბითუმო ვაჭრობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დავით გამრეკელის ქუჩა #19.
- 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები და უშუალო მფლობელები იყვნენ ალექსანდრე სამხარაძე 88%-იანი წილით და ლელა სამხარაძე 12%-იანი წილით, ხოლო 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ალექსანდრე სამხარაძე.

## 2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

### ფასსს - ზე გადასვა

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად პირველად მოხდა ფასსს-ების გამოყენება. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება ფასსს-ების საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და შემდეგ პერიოდებზე. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის ფასსს-ებზე გადასვლის თარიღი.

### ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილები

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოვლენით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასსს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა

პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციების მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას, ხოლო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს გრძელვადიანი და მოკლევადიანი შინაარსის მიხედვით. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციებისა და აქტივების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

### ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისას ხელმძღვანელობამ შეათვალა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, მიმდინარე საანგარიშგებო წლის შედეგი, ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და გაუნაწილებელი მოგების ოდენობა, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

### ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

|                                | 31 დეკემბერი<br>2018 | 31 დეკემბერი<br>2017 | 1 იანვარი<br>2017 |
|--------------------------------|----------------------|----------------------|-------------------|
| 1 აშშ დოლარი/ლარი              | 2.6766               | 2.5922               | 2.6468            |
| 1 ევრო/ლარი                    | 3.0701               | 3.1044               | 2.7940            |
| <b>საშუალო გაცვლითი კურსი:</b> | <b>2018</b>          | <b>2017</b>          |                   |
| 1 აშშ დოლარი/ლარი              | 2.5345               | 2.5086               |                   |
| 1 ევრო/ლარი                    | 2.9919               | 2.8322               |                   |

## ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე, როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

## ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელმწიფოებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) კომპანია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელმწიფოებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) კომპანია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელმწიფოებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში

ასახვით“, თუ კომპანია არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან ამჟამად მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს (ECL). ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის ECL არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და გაცემული სესხების გაუფასურების გაანგარიშებისას იყენებს გამარტივებულ მიდგომას „ფასს 9“ ის შესაბამისად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია დავალიანების ამოღების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით.

კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- შესაუთხოვობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა, თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

### ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკირებას ახდენს ორ კატეგორიად:

- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებულ ინსტრუმენტებისა, რომლებიც განუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას ავმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.
- სხვა ფინანსური ვალდებულებები. ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება სავაჭრო და სხვა ვალდებულება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, არ ხდება იმ ვალდებულებების გადაფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შეძენაზე. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

## ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დავლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

## ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

კომპანია არ ფლობს მიწას. შემდეგი სასარგებლოს მომსახურების ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის:

| სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში |    |
|-------------------------------------|----|
| საოფისე მომსახურება                 | 5  |
| კომპიუტერი და სხვა ტექნიკა          | 5  |
| ავტო და სხვა ინვენტარი              | 5  |
| სატრანსპორტო საშუალებები            | 5  |
| მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები   | 5  |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 5  |
| შენობა-ნაგებობები                   | 50 |

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

## არათვინანსური აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესათვალისწინებლად და

გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოვლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი. გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

### გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოვლებული გაუფასურების რეზერვით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული გადახდილი ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული გადახდილი ავანსები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ-გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი

თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

### **დივიდენდები**

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

### **საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

### **პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები**

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლებისგან.

### **შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება**

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. კომპანია შემოსავალს საქონელის რეალიზაციიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით კომპანია ახდენს:

ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

#### საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალ ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორიცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

#### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დამშვებები და მსჯელობები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დამშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე მოიცავს შემდეგს:

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

- **სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება**

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ასევე გაცემულ სესხებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელობანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

- **საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

- **ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის**

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება

შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

## 5. ამონაგები

|                        | 2018              | 2017              |
|------------------------|-------------------|-------------------|
| საქონლის გაყიდვიდან    | 26,938,162        | 20,313,249        |
| მომსახურების გაწევიდან | 92,004            | 103,062           |
| <b>სულ ამონაგები</b>   | <b>27,030,166</b> | <b>20,416,310</b> |

## 6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                              | 2018             | 2017             |
|----------------------------------------------|------------------|------------------|
| დასაქმებულთა ანაზღაურება                     | 1,634,320        | 1,487,726        |
| მივლინება                                    | 162,648          | 130,497          |
| რეკლამის ხარჯები                             | 170,928          | 661              |
| ბანკის მომსახურება                           | 43,800           | 36,082           |
| კომუნალური ხარჯები                           | 31,601           | 30,443           |
| ცვეთა და ამორტიზაცია                         | 77,587           | 98,657           |
| იჯარის ხარჯი                                 | 56,419           | 46,981           |
| სხვადასხვა                                   | 63,001           | 64,695           |
| <b>სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>2,240,304</b> | <b>1,895,742</b> |

## 7. კურსთაშორისი სხვაობა

|                                                    | 2018             | 2017             |
|----------------------------------------------------|------------------|------------------|
| დადებითი საკურსო სხვაობები                         | 154,904          | 1,058,464        |
| უარყოფითი საკურსო სხვაობები                        | (360,868)        | (1,468,154)      |
| <b>სულ მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან</b> | <b>(205,965)</b> | <b>(409,690)</b> |

## 8. სხვა შემოსავალი/ხარჯი

|                                  | 2018           | 2017           |
|----------------------------------|----------------|----------------|
| საპროცენტო შემოსავალი:           | 35,851         | 34,684         |
| მიღებული კრედიტნოტები            | 479,827        | 498,566        |
| <b>სულ სხვა შემოსავალი/ხარჯი</b> | <b>515,679</b> | <b>533,250</b> |

## 9. ფული და ფულის ექვივალენტები

|                            | 31 დეკემბერი,<br>2018 | 31 დეკემბერი,<br>2017 | 1 იანვარი,<br>2017 |
|----------------------------|-----------------------|-----------------------|--------------------|
| ნაღდი ფული                 | 16,743                | 456                   | 750                |
| ფული ბანკში                | 2,371,698             | 13,571                | 813,598            |
| <b>სულ ფულადი სახსრები</b> | <b>2,388,441</b>      | <b>14,028</b>         | <b>814,348</b>     |

## 10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                       | 31 დეკემბერი,<br>2018 | 31 დეკემბერი,<br>2017 | 1 იანვარი,<br>2017 |
|---------------------------------------|-----------------------|-----------------------|--------------------|
| დაკავშირებული პირებისგან              | 8,045,551             | 6,543,285             | 3,260,811          |
| სხვა პირებისგან                       | 2,532,268             | 1,583,097             | 658,419            |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b> | <b>10,577,820</b>     | <b>8,126,382</b>      | <b>3,919,230</b>   |

## 11. გრძელვადიანი აქტივები

|                                                              | 31 დეკემბერი,<br>2018 | 31 დეკემბერი,<br>2017 | 1 იანვარი,<br>2017 |
|--------------------------------------------------------------|-----------------------|-----------------------|--------------------|
| შენობა - ნაგებობები                                          | 845,274               | 689,074               | 689,074            |
| -დაგროვილი ცვეთა                                             | (114,986)             | (99,110)              | (85,337)           |
| არამატერიალური აქტივები                                      | 10,846                | 10,846                | 10,846             |
| -დაგროვილი ცვეთა                                             | (10,846)              | (10,031)              | (8,726)            |
| დანარჩენი ინვენტარი                                          | 357,572               | 335,548               | 315,399            |
| -დაგროვილი ცვეთა                                             | (278,336)             | (221,935)             | (168,387)          |
| <b>სულ ძირითადი საშუალებები<br/>/არამატერიალური აქტივები</b> | <b>809,524</b>        | <b>704,393</b>        | <b>752,869</b>     |

## 12. სავაჭრო და სხვა მოვლევადიანი ვალდებულებები

|                                                       | 31 დეკემბერი,<br>2018 | 31 დეკემბერი,<br>2017 | 1 იანვარი,<br>2017 |
|-------------------------------------------------------|-----------------------|-----------------------|--------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                                 | 2,383,459             | 1,230,053             | 693,219            |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                    | 332                   | 37,464                | -                  |
| სხვა ვალდებულებები                                    | 49,022                | 11,261                | 605                |
| <b>სავაჭრო და სხვა მოვლევადიანი<br/>ვალდებულებები</b> | <b>2,432,813</b>      | <b>1,278,778</b>      | <b>693,825</b>     |

## 13. გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია. 2018 წელს კომპანიამ გასცა 734 999 ლარის, ხოლო 2017 წელს 35 757 ლარის დივიდენდი.

#### 14. საანგარიშო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 აგვისტოს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

2019 წლის 17 იანვარს კომპანიას შეერწყა დაკავშირებული კომპანია შპს „501“ და ფუნქციონირება გააგრძელა შპს „თრეიდლაინის“ სახელის ქვეშ. შერწყმის შედეგად კომპანიის ძირითად საქმიანობას დაემატა ტანსაცმლით, აქსესუარებით და ფეხსაცმლით საცალო ვაჭრობა სპეციალიზებულ მაღაზიებში.